ISSN 0132-6015
6 - 84

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საით, ძია კაცო?!
— ეჭიმმა მირჩია, თუ გინდა წელში გასწორდე, საწყობში მო-ეწყვეთ!

პრაქტიკული გარეგნობა

ნეტავ, რა არის მთავარი ცხოვრებაში? ან საერთოდ რა არის კარგი და რა — ცუდი?

ცხოვრებაში ბევრი რამ არის მთავარი, მათ შორის კი ლამაზი ჩაცმა-დახურვა.

თუ ლამაზად გაცვია, ესე იგი ლამაზი ხარ! — ეს კი კარგია! სილამაზის გარდა, თურმე გემოვნებაც გაქვს! — ამას არა უშავს! გემოვნების გარდა, კონტაქტები მოგეპოვება! გამოდის, რომ ხალხს იცნობ! —ეს ხომ კარგია და კარგი! ბოლოს, ესე იგი... ხელფასზე არ ცხოვრობ! — ეს კარგია თუ არა, ცოტა ძნელი სათქმელია, — გვიან ირკვევა ხოლმე.

მაგალითად, მიდიხარ ქუჩაში. სხვაც მიდის, მაგრამ შენ მიაბიჯებ. მიდიხარ და თავი მოგწონს. მოგწონს იმიტომ, რომ ტყავის ქუდი გახურავს, ტყავის პალტო გაცვია, ტყავის კოსტიუმი, ტყავის შარვალი... ესე იგი, ვიღაცას ატყავებ, თორემ საიდან ამდენი ტყავი?! მაგრამ თუ მიდიხარ და ტყავის ქუდიც არ გახურავს, ესე იგი შენ გატყავებენ! ეს კი არ არის კარგი!

ერთი სიტყვით, კარგ ჩაცმა-დახურვას უამრავი „ესე იგი" ახლავს და ეს უკვე საინტერესოა!

მიუხედავად ჩემი მოდური გარეგნობისა, არ მიყვარს სილამაზეზე ლაპარაკი. ისე კი ჩემი ფასი ვიცი. ხშირად ძმაკაცები კვაზიმოდოს მადარებენ. ის ფილმი არ მინახავს, მაგრამ მეუბნებიან, კვაზიმოდოს როლს ულამაზესი მსახიობი თამაშობსო. ეს მჯერა, ერთი სიტყვით, კარგი ჩაცმა-დახურვა ნაღდად მშვენის.

ადრე მუდამ სპეკულანტისაგან ვყიდულობდი ჩასაცმელს, გვარიანადაც ვწვალობდი. ვიყიდი უცხოურ კოსტიუმს, ცალი სახელო მოკლეა, ცალი — გრძელი. მიმაქვს გადასაკეთებლად: შარვალს ცალ ტოტს მოვაჭრი, მეორეს წავაკერებ. მე კი ვიცი, ამის მიზეზი რაც არის, მაგრამ მკითხველმაც ხომ უნდა იცოდეს? მიზეზი კი ის არის, რომ ცალი ხელი მოკლე მაქვს, ცალი — გრძელი. ფეხები, პირიქით: — ცალი — გრძელი, ცალი — მოკლე. ხერხემალიც ზომიერად მაქვს გამრუდებული. ასე რომ, სიარულის დროს, ზღაპრებში რომ ხელფეხიან ნახევარმთვარეს ხატავენ, იმას ვგავარ, ამიტომაც ბიჭები ბადრ მთვარეს, დროს მოგების მიზნით კი, უბრალოდ, ბადრის მეძახიან.

ჩემი ჩაცმა-დახურვის საკითხი ერთ მშვენიერ საღამოს გადაწყდა და დავისვენე კიდეც.

დღეობაზე ვარ. მთელი საზოგადოება შურით შემომცქერის, მაკვირდებიან და მერე ერთმანეთს ეჩურჩულებიან. ჩემ პირდაპირ მშვენიერი ქალიშვილი ზის. აბა, ბადრი მთვარე ის არის, თუმცა მზია ჰქვია. ისიც ჩუმად მიყურებს და სევდიანად მიღიმის. მე მოხდენილად ვაბოლებ სიგარეტს (საერთოდ არ ვეწევი) და მრავალმნიშვნელოვნად ვეკითხები:

—რატომ მიღიმით ასე სევდიანად?

ის იბნევა და კითხვაზე კითხვით მიპასუხებს:

— რა გქვიათ?

— ბადრი!

სიხარულისაგან უფრო სევდიანად იცინის.

— იცით რა, ბადრი! ჩემი საქმე ცუდად არის. ხვალ კვარტალის ბოლო დღეა და, ალბათ, სამსახურიდან მომხსნიან.

— რატომ, წესია ასეთი?

—ყოველ შემთხვევაში, ბეწვზე ვკიდივარ, თქვენ კი შეგიძლიათ დამეხმაროთ!

— სიამოვნებით, მაგრამ როგორ?

— ხვალ გეტყვით ყველაფერს! აი, ჩემი ტელეფონი! გელოდებით!

მეორე დილასვე დავურეკე და მივაკითხე სამსახურში. ეს არის მზატანსაცმლის უზარმაზარი მაღაზია. დახლები, თაროები, საკიდები სავსეა ნაირ-ნაირი პალტოებით, ქურქებით, კაბებით, კოსტიუმებით. მაღაზიაში შესვლისთანავე საერთო ყურადღება მივიქციე. ამას მიჩვეული ვარ. გამყიდველები აღტაცებით შემომცქეროდნენ და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. მზიამ თავისი სექციისაკენ მიმიპატიჟა.

— აბა, ვინ გხსნის სამსახურიდან? — მრისხანედ ვიკითხე.

— გეგმას ვერ ვასრულებ, ეს კი მოხსნას ნიშნავს.

— სამწუხაროა, მაგრამ რით დაგეხმაროთ?

— რით და... წუხელ თქვენს კოსტიუმს ვაკვირდებოდი, სადაურია?

— ფინური, სპეკულანტისაგან ვიყიდე.

— მშვენიერია, მაგრამ მარჯვენა სახელოს რატომ აქვს წაკერებული?

— მარცხენას მოვაჭერი და მარჯვენას წავაკერე. საერთოდ ფინური კოსტიუმები განთქმულია, მაგრამ ნაკლიც აქვთ — სახელოები, შარვლის ტოტები ზუსტად ერთი სიგრძისაა, ჯიბეები, გვირისტები, ღილ-კილოები მისხალ-მისხალ ემთხვევა ერთმანეთს. იგრძნობა ტრაფარეტიზმი. თეორიულად ეს შესაძლოა კარგიც იყოს, მაგრამ ცხოვრებაში ხომ ასე არ ხდება? გარდა ამისა, ხალხს მობეზრდა ეს სიმეტრიულობა. ერთნაირი ხელები, ერთნაირი ფეხები, თვალები... არ იგრძნობა ფანტაზია, ფორმის მრავალფეროვნება! საჭიროა რაღაც ახალი, შემოქმედებითი! გავიხსენოთ პიკასოს შედევრები. თვალი შუბლზე აქვს, შუბლი — კეფაზე, კეფა მუცელზეა მიკრული და ამიტომაც შედევრია! იქნებ პიკასოს

გმირი ვარ? აბა, ეს კარგია, გადაკერებული კოსტიუმით რომ დავდივარ?

მზია აღტაცებული მისმენდა და ბედნიერებისაგან სატირლად ემზადებოდა. სიტყვა რომ დავამთავრე, ათრთოლებული ხმით მომმართა:

— ძვირფასო და განუმეორებელო ბადრი! ასეთი შემოქმედებითი შარვალ-კოსტიუმებით სავსეა ჩვენი მაღაზია! ხომ არ ინებებდით?

— როგორ არა! აბა, ასე ხომ არ ვივლი?

— ინებეთ! მართალია, თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანმა" ბოლო ხანებში მკვეთრად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, მაგრამ გვაქვს შემორჩენილი **მამაკაცის ქურთუკი — არტიკული 5206031514301, მოდელი 1-78. 38 მანეთი ღირს, ზუსტად სათქვენოა: დამამშვენებელი გვირისტები გამრუდებულია, ღილ-კილოები მეთოდიკის დარღვევითაა ამოხვეული და ამიტომ იძენძება. ღილებიც არათანაბარი დაშორებით დაუკერებიათ. ჯიბეები სიგრძეშიც და სიგანეშიც სხვადასხვა ზომისაა. საყელო ასიმეტრიულია. სამხრეები ერთი — 14, ხოლო მეორე — 15,5 სანტიმეტრია. და, რაც მთავარია, სახელო ერთი გრძელია, მეორე — მოკლე. მთელი პარტია ასეთია, აირჩიეთ, რომელიც გნებავთ!**

— გადაწყვეტილია, ამას ვიღებ!

— ველვეტის შარვალსაც ხომ არ ინებებთ? ესეც „ამირანისაა"! არტიკული —37153227, მოდელი ა-81, ტოტები: ერთი გრძელია, მეორე — მოკლე. გარდა ამისა, გირჩევთ, თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების ცხინვალის სასწავლო-საწარმოო უბნის დამზადებული მამაკაცის ქვედა საცვალი შეიძინოთ (არტიკული — 11022, მოდელი 4). ამასაც ტოტები სხვადასხვა სიგრძისა აქვს, ქვედა მანჟეტები მიუკერებელია; საერთოდ, პროდუქცია დაუმთავრებელია და მაღაზიიდან პირდაპირ მკერავთან შეგიძლიათ წაიღოთ!

— მიმაქვს, შეახვიეთ!

— ქალის ხაოიანი ქსოვილის ხალათი ხომ არ გნებავთ? თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ნაწარმია. არტიკული —41282231-001, მოდელი — 2-30-ა. მე მგონი, მოგეწონებათ, ვინაიდან ნაკერები ოდნავი შეხებითაც კი ირღვევა. დამახასიათებელია როგორც ქსოვილის, ასევე კერვის წესი.

— მაგასაც წავიღებ ნათესავებისათვის.

მზიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მოვიდნენ გამყიდველები, შურით შესცქეროდნენ.

— ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას რომ ასეთი გარეგნობა ჰქონდეს, — თქვა ერთმა და ჩემზე მიუთითა, — გეგმას სულ ღიღინ-ღიღინით შევასრულებდით!

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, — ვუპასუხე მე, — პრაქტიკული გარეგნობა მაქვს. აი, თქვენ სიმეტრიული ხელ-ფეხი გაქვთ და გიხარიათ? შეიძლება ზოგჯერ კარგიც იყოს თანაბარი მხრები, ყურები, მაგრამ დამეთანხმეთ, ერთობ არაპრაქტიკულია. მესმის, თქვენი ბრალი არ არის, მაგრამ სამკერვალო ფაბრიკებმაც რა ქნან? ჩემისთანები თითზე ჩამოსათვლელია, თქვენ კი მილიონობით ხართ. საითაც გაიხედავთ, ახოვანი, წარმოსადეგი წყვილები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ნიჩბებივით ბეჭები, შემართული ყელ-კისერი, ლარივით ფეხი, მხრები თავის ადგილას. ასე არ შეიძლება!.. ყველას სიმეტრიული პროდუქცია გინდათ, ზუსტი გვირისტები, ღილ-კილოები, სახელოები ერთი სიგრძისა, ჯიბეები ერთი სიმაღლისა!..

რაღა ბევრი გავაგრძელო?

ვიყიდე პალტო, კოსტიუმი, ქურთუკი, პერანგები, საცვლები...

მზია მოხსნეს კი არა, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საპატიო დაფაზე გამოაკრეს. ეგ კიდევ არაფერი, ერთი თვის შემდეგ მე და მზიას საქორწინო მოგზაურობისათვის თბილი ჩასაცმელი დაგვჭირდა, ჩემთვის უცებ ვიყიდე ყველაფერი და კიდევ ერთი გამყიდველი გადავარჩინე მოხსნას. მზიას კი გაუჭირდა, სიმეტრიამ დაღუპა. მოგზაურობა ჩაიშალა, ქორწილი გადაიდო!..

დადის და ეძებს ჩვენს მაღაზიებში ტანსაცმელს, ვითომ იპოვის?!

გარი მეტრეველი,
ზურაბ ძაჯაია,
„ნიანგის" სპეკორესპონდენტები.
ილუსტრაციები დ. ერისთავისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იძინე მშვიდად, ჩვენო ძვირფასო მეგობარო! ანონიმურ წერილში მოყვანილი ფაქტები შენზე არ დადასტურდა!

ახალი განცხადებები

საქ. მწერალთა კავშირის სამდივნოს
ახალგაზრდა ჩამოსული მწერლის, უზუმრუდ გვაძაბიას
განცხადება

ბატონო თავმჯდომარეო! უკან გიბრუნებთ ოთხოთახიან ბინას, რომელიც მომეცით ვარკეთილის დასახლებაში, ვინაიდგან შორია.

პასუხი: თბილისში ჩამოსულო ახალგაზრდა მწერალო! თუ გვეტყვით, საიდანაა შორი, დავსვამთ საკითხს, რათა ახლოს მოგცენ!

მწერალთა კავშირის მიმღები კომისიის თავმჯდომარეს
დემურ დეფუნიას
განცხადება

ძველ სკივრში აღმოვაჩინე წერილი, რომელიც გაგანია ომის დროს ვიღაც ჯარისკაცს გამოუგზავნია დედაჩემისთვის. პოჩერიკის მიხედვით დავამტკიცე, რომ წერილის ავტორი მამაჩემია. ვმუშაობ დანარჩენ წერილებზეც. გთხოვთ მიმიღოთ მწერალთა კავშირის წევრად.

პასუხი: მწერალთა კავშირში რომ მიგიღონ, აუცილებელია აღმოაჩინო დედაშენის წერილებიც, რომლებიც პასუხად გაეგზავნა მამაშენს იმ გაგანია ომის დროს.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს.
ლომფხვია ხმალგორდაულის
განცხადება

ვიყავი ჩემთვის და ვმუშაობდი სოფ. შრომის წინსვლის კოლმეურნეობაში. უცებ გავხდი სახალხო მთქმელი და იმის შემდეგ ყოველ მეორე დღეს ტელევიზიით გამოვდივარ ლექსების კითხვით.

გთხოვთ მიმიღოთ მწერალთა კავშირის წევრად, გამოსცეთ ჩემი წიგნები და ბინა მომცეთ მაჩაბლის ქუჩაზე. მწერალთა სასახლის გვერდით.

პასუხი: გზასაცდენილო ლომფხვია! შენი ცოდვა მიეცეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ვახუშტი კოტეტიშვილს.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს
მკვლევარ სერიოზ ხუმარაულის
განცხადება

აღმოვაჩინე უგზო-უკვლოდ დაკარგული მწერლის ზიგმუნდ ყანჩაველის პროსტატის ადენომის ოპერაციის შედეგად ამოკვეთილი ჯირკვალი, რომელიც მწერლის მეუღლის სიძეს შემოუნახავს მადლიერი მკითხველისათვის.

გთხოვთ დაგვაკრძალვინოთ მთაწმინდის პანთეონში, ქართველი საზოგადოება მოუთმენლად ელის თქვენს გადაწყვეტილებას.

პასუხი: გთხოვთ მიმართოთ უროლოგიის ინსტიტუტს (ავლაბარი, შაუმიანის ქუჩა № 9) სანამ პატრონს იპოვიდეთ, ინსტიტუტი მოვალეა შეინახოს თქვენს მიერ აღმოჩენილი ჯირკვალი.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს
მკვლევარ ჯორდანო გურამიშვილის
განცხადება

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი მოგზაურობისას გამოჩენილ მეცნიერთაგან — ჯორჯ კელლისა და ლილიან ორმანდისაგან შევიტყვე, რომ აკაკის თავის ხელთუქმნელი „განთიადი“ დიმიტრი ყიფიანისადმი მიუძღვნია. ამ აღმოჩენის შესახებ ვწერ ოცფორმიან ნაშრომს. გთხოვთ, შემიტანოთ „მერანის“ საგამომცემლო გეგმაში.

პასუხი: ბატონო ჯორდანო! ჩვენ, მაგალითად, ინგლისელი მეცნიერისაგან პარი ხეკლერისაგან ისე ვიცით, რომ პირიქით, დიმიტრი ყიფიანმა უძღვნა „განთიადი“ აკაკის. იმის შემდეგ დაუსაკუთრებია დიდ პოეტს ეს შესანიშნავი ლექსი. დაზუსტებისათვის კარგი იქნება, შეიკრიბოთ ვაშინგტონში ბარტ სტაირონთან. მას სრულიად ახალი ცნობები აქვს ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხიაზეც, აგრეთვე პავლე ინგოროყვას გამოუქვეყნებელ წერილებზე, თბილისში, ხელთნაწერთა ინსტიტუტში რომ ინახება.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს
ახალგაზრდა მკითხველ გორდონ გურიელის
განცხადება

ბატონო თავმჯდომარეო! ძალიან მინდა გავხდე პოეტი. გთხოვთ გზაზე დამაყენოთ და მირჩიოთ, რაა ამისთვის საჭირო?

პასუხი: პატივცემულო გორდონ, უპირველეს ყოვლისა მაქსიმალურად უნდა მოუშვა წვერი, დანარჩენი ყველაფერი თავისთავად დალაგდება — ისიც, ისიც და, რაღა თქმა უნდა, ისიც...

შეკრიბა და რედაქციას მოაწოდა ქახაბერ ბოტკოველმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიო მირცხულავას სატირული ლექსები

პოეტის დაბადების 80 წლისთავის გამო

1968 წელს აკაკი ხორავამ წერილი გაუგზავნა ალიო მირცხულავას: „ჩემო ალიო! რამდენიმეჯერ გადავიკითხე ჩემდამი მოძღვნილი შენი ლექსი „მეზობლები“, გადავიკითხე და გულში რაღაც ჩამწყდა, შევწუხდი, გამახსენდა ჩვენი ახალგაზრდობა: წარმატებები, შეხვედრები... როგორ განვიცდიდით და გვიხაროდა ერთმანეთის წინსვლა. ახლა კი... იცი, რა გითხრა? რამდენი სითბოცაა შენს ლექში ჩემდამი, იმდენივე წუხილია. მე მესმის, ეს წუხილი შენიცაა, ჩემიც... ოტელოობა დროს არ შეჰფერისო, — ამბობ. მართალი ხარ, რა დროს ოტელოობაა! „რა ვუყოთ, სხვებზე ადრე ვბერდებით, რა ვუყოთ, დიდხანს ცოცხლობს იაგო!“ ეს სტრიქონები არ მაძინებენ. დიდი სიბრძნეა შიგ. ჯერ ართქმული ჭეშმარიტებაა. თავს ვხრი მოწიწებით შენი დიდი პოეზიის წინაშე, ჩემო ალიო! ჯანმრთელობა მღალატობს, თორემ ამოვიდოდი და შუბლზე გაკოცებდი. გავიგე, შეხვედრას გიწყობენ ხორგაში, ჩათვალე, რომ მეც შენთანა ვარ სულით და გულით. ნათლად მახსოვს 1946 წელს შენი საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში. მეამაყება, რომ იმ გრანდიოზული იუბილეს ორგანიზატორი მე ვიყავი. რამდენი ხალხი იყო, რამდენი თაიგულები, რამდენი სითბო და სიხარული. ეჰ, დრონი, დრონი!.. არ შეშინდე, იაგოები ვერაფერს დაგაკლებენ! კიდევ მრავალ იუბილეს მოესწრები! შენ ხალხს უყვარხარ, ხალხი კი უკვდავია“.

ოციან წლებში ქართულ საბჭოთა პოეზიაში სრულიად ახალი ჟღერადობით შემოვიდა ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) თავისი ლექსებით — „გადახრა მთვარისაკენ“, „ნახტომი მზისკენ“, „ძველი მაზარა“, „პოეტი-კაპიტანი“, „ავტოპორტრეტი“, „მგზავრობა საჰარაში“, „მზესთან“. თითოეული მათგანი რევოლუციური სინამდვილის პოეტური დამკვიდრების მხატვრულ მანიფესტს წარმოადგენდა იმ დროისათვის.

პოეტის მიერ 1934 წელს დაწერილი ლექსი წინასწარმეტყველადაც კი იქცა:

არ დაბრუნდება არსად, არასდროს
ერთხელ წასული ჩვენი ცხოვრება!..
წავალთ, გავქრებით, აქ სხვა განაგრძნობს
ახალ შეტევას და შებრძოლებას!

ალიო მირცხულავას ღვაწლიც და დამსახურებაცაა, რომ რევოლუცია ხალხის შეგნებაში იქცა სიმღერის საგნად და ესთეტიკურ ფენომენად. პოეტის დამოკიდებულება აწმყოსა და მომავალთან ყოველთვის ოპტიმისტურია. მხოლოდ აქა-იქ ანაზდად გამომჟღავნებულია წუხილი. და, მისი აზრით, ეს წუხილი ზოგადკაცობრიული და ადამიანურია.

ო, მაპატიეთ წუთიერი დაბარბაცება!,
მე დედამიწის ბრუნვა ვიგრძენი!

მის შემოქმედებაში იმავე ოციან წლებში გაჩნდა ახალი სატირული განწყობილება, ამის დასტურია მისი პირველი ლექსი, რომელიც თარიღდება 1922 წლით — „ჩვიდმეტწლიან ქოჩუცს“:

შენ დაიბადე ნაზი და წმინდა,
ალიონივით თითქოს გათენდი
და ვარსკვლავივით შორეულ ციდან
შენ უცნაური გელოდა ბედი;
ახ, დღეს დაბერდი,
გადასხვაფერდი!

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი



1923 წელს დაიწერა მეორე სატირული ლექსი — „მიმართვა პოეტებისადმი“, სადაც ალიო ამბობს:

ზოგი გენიას ართმევს ბაირონს
და ირონიით ახსენებს შოთას.
ფიქრობს: ვარ მათი თანაბარიო
და მუშტმოღერით დადის და შფოთავს.

. . .

თქვენ, პოეტებო, თუ წერთ ქართულად,
თუ გინდათ, რეკდეს სიტყვა ქართული, —
წერეთ ლექსები წელგამართულად,
წერეთ ლექსები წელგამართული!

პოემა „ლუზარის აოხრება“ კი 1924 წელს დაიწერა. მოგვყავს ნაწყვეტი ამ პოემიდან „აბრაზი ბუზური“:

უზიანები ერთი არ დარჩა
და კომანდორიც
თავქვაკრეფილი გარბის
ყვირილით:
— რიიარე, ირია —
— ურულე, რუმბა.

1922 წელს გამოქვეყნდა მისი მეორე სატირული ლექსი „სამიკიტნოში“, რომელშიც პოეტი ძველი თბილისის სამიკიტნოებს დასცინის:

სალამოობით რუსთაველზე
დავალ, ვით ძაღლი,
ჯიბეს მუშტებით გავიბერავ
გალიფესავით.
ცხვირს გავისწორებ სამიკიტნოს
კართან ცახცახით
და შემაჩერებს როიალის
ხმა ნათესავი.
საეჭვო მხარეს პირდასვრილი
ამაყობს სუფრა,
შემლილი მტვერი ცოფიანად
დაათრევს შხამებს,
თვის ძმაბიჭებში ტოლუმბაში
ზის თავისუფლად,
ბებერი საათი შუაღამის
სიცხეს ამჟღავნებს.
ჭიქა ჭიქას სცლის, სადღეგრძელო —
სადღეგრძელოსა,
მეგობრის გულში მეგობარი
კოცნით სვამს იერს.
შეწამლულ სუნთქვით დატვირთული
დაივლის ლოცვა
და მას მოყვება ჭლექიანი
მრავალჟამიერ.
მიდის სიცოცხლე სიმთვრალეში,
მიდის მეფურად,
აქ იფურჩქნება ძველი ფიცი
ნაწინდარევი,
აქ კაცის გრძნობა ველურობის
იშორებს ბურანს
და ისეტყვება სულგრძელობით
და წმინდა ვნებით.
ტაში! აქ ზურნამ როიალსა
წაართვა ენა,
ტრახ, ტა, ტი, ტუმ, აბა, ბიჭო,
ტრახ, ტა, ტი, ტი!..
მო, კინტაურსა დაუარე,
თუ გიყვარს ლხენა!
ხედავთ, ლელევო, სიმთვრალეში...
გახდა დიდი!..
მეც შემამჩნიეს, მიმიწვიეს
სუფრაზე უცხო,
პირდაღრეჯილად ღვინის ჭიქას
მეც ვეამბორე,
ვსდუმვარ... არ ვიცი, ქებათქება
ჯერ ვის დავუწყო,
დახლიდარს სძინავს... ძილში ითვლის
ჭუჭყიან ბონებს.
შენ, მეგობარო, ჩვენზე უწინ
ვნებით რომ ათვრი,
ვიცი, სიმდიდრეს დასწყევლიდი
ასჯერ-ათასით,
რადგან ღარიბი ცხოვრებაში

(დასასრული მე-8 გვ.)

ალიო მირცხულავა

ეს, ჯაბანი!

I

ხმირად ქალაქში დადის ნელად
ნიავი ცივი და ნამიანი,
ასე ცივი და უფარფლელი
ზოგიერმა ზოგი ადამიანის.

შეხვალ ოთახში და იცქირები:
იქით ნოხები, ავეთ ხსვენია,
მოფარფლელია სარკელის მინები,
სარკელის რაფაზე ნარგიზებია.

აი, ნარგიზი კიდევ თარეზე,
წყანი, ალბობი ზემოთ აწევია,
გასცქერო ალდელ და თან ვაოცებს
შიშველ ქალების დეშინაცრაცია.

კუთხეში ტახტი დგას ძველებური,
ველრდიო ვაზები დგანან ნინრად
და კედლებიდან გაკრაქლებული,
ნოხი ამ ტახტზე ადაკიმული.

ფრანფოინის ხმა ოთახს აერევს,
ჩხვეის, ღრიალებს გამოორტეთი,
ორსაწოლიან ლოგინს დასეერებს
მამაპაპური ძველი პორტრეტი.

თარო ძველია და ფალეოიანი,
ჭერზე პრალებს ხსიოთ ერეული,
იქვე კუთხეში დგას როიალი,
რომანტიულად ნაფარეული.

იქით ხმა გასლავი... აი, აქეთ კი
მოჩანს ხანული გაშლილ ლოგინიო,
იგი ნინდანენ არის ნაოდი
დიუსრულებელ ბავშვის ლოდინიო.

ცოლი მიზეზობს ენაფიერი,
ქმრისაკ ამოოგად დავა იწვეს,
რატომ მაი მორის ულერი ლლერი
არ არის ლტოლვი, თავდაფეწვეს?

ამბობს: — ამ დარდეს ვერ გადეკურნები,
ოო, დავეწალეო, ადამანო!
რად მინდა შენი ერეა, ულრეი,
ოოა ყოველ დღე ასე ვეიანობ?!

ქმარი ულიმბს: — კარეი, ჭირიმე,
მე რას გიმსეკ კაცი ბედურული?
ხედავ, დღეკეს ვიიკერიოვ,
მინე შენი ვარ, შენი ეროფელი!

ხედავ? არა მაქეს კაცს მოსვენება,
ლამის დამპირნის ტეირიმს ოთახმა,
ხან — ხამსაფრი, ხან — მოსხენება,
ხან— ულრეი და... ხან კი— ხსვადასხვა.

რა ქნას, როდესაც ოლის მონა,
ოთმენს, თუ გინდა ფეხით მოთელინ;
ის ხომ ოლისთვის დეშფერმონა,
ოლი? ბრძანეო, არის ოტელი.

აი, შერიდენენ, რადგან ამ შამათს
ქმარი ლეშელის ხელფასს კიდევ და
ოლესაკ „ლდეფინის" აღსანიშნავად
კოეკორატებს და „ნელკენს" ესპრდეს!

ბოლოს ამრიგად დავა მოიგედა,
ოლი ველიკეთ ქმრისკენ მიეტრაკ,
იქვე ღრიალეკ ვრაშოფონი და
ჭაშენ ვამპრაფა დარბაისლურად.

შემდეგ ხმადასხვა კაბეკს გადაშლის,
ტანზე დაიხდამ ბრაკალ ხურნელებს,
სალამოისას ხადე ქალაქში
გასეირნვას მოისრეკვენენ.

ქმარი ხომ ამ ბრიკ ოოტეკს გადიეკამს,
ხელში ოლინდრისაე დაატრიალებს,
ხან ზეთ ნაუეკამს ტუფლებს ლაკისს,
ხან ვაზელინი გაარიალებს.

კარდებს დიამნეკ ბქერდის ბედეხოთ,
ვიეკლინვეს ხარეს... და ბამინ:
ოოლესაე ბქლაეკი ბქლაეკს გამოუდებს და
ბქეკარანს ინეკეს ფეხის თამაშინ.

ნეკლენ, ვეზადაეზ ჭირეკეს მოსხდენენ,
ხან ეიტრინეკენ დაფრეკდეკიან,
შემოიალან ბალეს, პრიალკეტენს
და მზიარელნი დაბრენდეკიან.

II

ოდეს ოო ალ... ახლაე ეხმირეკ,
ზოგეერ ფიღლთეკ, ზოგეერ ვეიანად,
როდესაე ოოლი სამსახურშიეკ
ქმარს ეტენრეკს შმოხლეკიანად.

დაერიალდება რისხვად მოსილი,
ანნოკკას ხალს და ანარაკს,
შემდეგ, თითქო

(დასასრული)

სავსეა ნატვრით
და სიმდიდრეში, სიკვდილის მეტს,
არა აქვს ფასი!
ასე დახუჭავს პარასკევი
ლოთიან თვალებს,
ღვინოც ის არის, რომ ალაგებს
კრედიტზე კრედიტს,
შეც, სხვათა შორის, მიეგდები
კუთხეში მთვრალი
და კვირა დილას ქრისტესავით
ავდგები მკვდრეთით.
ასე გათავდა ეს ეპიზოდი,
დაკარგეს ძალა დაძლეულებმა,
იწყება ლხინი და წვეულება,
გმირი ყირმიზა ამაყად მოდის.
რობუ აყვირდა და აზუზუნდა:
ღუზას ღებოში ჩაუგეს ზუმპა.

1926 წელს ალიო მირცხულავამ გამოაქვეყნა ლირიკული პოემა „მე და ბარათაშვილი“, სადაც წამძღვარებულ ეპიგრაფში წერდა:: **ეს პოემა დაბეჭდილია 1926 წელს. ამ პოემის იდეური ხაზი — ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული საქართველოსადმი ახალი სოციალისტური საქართველოს დაპირისპირება, ძველი საქართველოს „რომანტიზმ„სათვის“ რომანტიკული ბურუსის ჩამოხსნაა“.**

ეს პოემა იმდროინდელ ახალ ქართულ პოეზიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. პოეტი ეპაექრებოდა XIX საუკუნის დიდ ქართველ მგოსანს ნიკოლოზ ბარათაშვილს და თავაზიანად შენიშნავდა:

გთხოვ მაპატიო, ქებით და კვესით
თავს რომ განონებ სიტყვამრავალი,
მე მაამაყებს ჩემივე ქვეყნის
დიადი აწმყო და მომავალი!

პოემა „მე და ბარათაშვილში“ შეიძლება იყოს ზოგი რამ სადავო, მაგრამ პოეტი ძირითადად სწორ პოზიციაზე დგას, განსაკუთრებით იქ, სადაც იგი თავის თანამედროვე მწერლებსა და პოეტებს ეკამათება. ამ კამათში, გადაჭარბებულ ირონიასთან ერთად, სიმართლის მარცვალიც მოიპოვება. და ეს იყო მიზეზი მაშინ ამ პოემის ესოდენ გახმაურებისა.

პოეტი ნათელი სახეებით ერთმანეთს მოხდენილად უპირისპირებს ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საქართველოსა და ახალ, სოციალისტურ საქართველოს და სიამაყით აცხადებს:

თბილისში მოკლეს ქართლის ბუნება,
აქ სიხარული მაინც დიდია.
გაჰქრა, არასდროს არ დაბრუნდება
ზურნა, დუდუკი და იდილია.
...
მხოლოდ აზიის დაღვრემილ ბედზე
წუხს ყარაჩოხლის სმა სირაჯხანით
და საათნოვას ლოთიან ლექსებს
სადმე კუთხეში ახრჩობს აოლანი.

ყველა ზემომოყვანილი სტრიქონები იმის მაგალითია, რომ ალიო მირცხულავა უსაზღვრო სიყვარულით უმღერის მშრომელ ხალხს, ამ ხალხის ყოველ ახალ წამოწყებას, ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების მახინჯ და მანკიერ მოვლენებზე.

მისი მეორე პოემა „აი, ადამიანი!“ სატირულ ჟანრს განეკუთვნება და იგი ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. პოეტი დაუნდობლად კიცხავს ბიუროკრატ, უსაქმურ ადამიანს, რომელიც შემთხვევით მოხვედრილა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და იმის მაგივრად, რომ საზოგადოებრივ საქმეს, ხალხს ემსახუროს, მეშჩანი და ობივატელი ცოლის ნება-სურვილზე დადის და თვითონაც ფუქსავატურ ცხოვრებას ეწევა. პოეტი დასცინის ადამიანის ცხოვრებას, რომელიც იოლი გზით არის მოპოვებული. იმ დროს ამ პოემას ახალი, საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „აი, ადამიანს“, მიუხედავად იმისა, რომ 1928 წელსაა დაწერილი, იდეურ-მხატვრული ღირსება დღესაც არ დაუკარგავს.

1938-40 წლებში ალიო მირცხულავამ დაწერა სატირული მინიატიურები — „სიმღერის უკვდავება“, „მუდმივი ძიება“, „აზრის ძალა“, „შურიანი“, „ლექსის „მწევარი“, „ხის გოდება“, „მთვარე თვალხარბი“, „სწორედ ის არი!“, „პოეტის ეპიტაფია“ და სხვა.

1942 წელს, სამამულო ომის პერიოდში, გაისმა პოეტის სატირული ლექსები — „საბედისწერო ნადირობა“, „მამაცი მზარეული“.

1967 წელს დაიწერა სატირული ლექსი „ბოროტი“.

მისი თვისება ვის უნდა ჰკითხოთ?
თავად ეტყობა ის რა კაცია;
არვის იკარებს, ვით აკაცია,
ზღარბის ეკლები ასხია ფიოქოს,
გულბოროტია, ავი და ხარბი...
დრომ ყურადღება თუ მიაქცია
და აღზევებას თუ მიაღწია,
მაინც ხარბია და მაინც ზღარბი.

ამავე წელსაა დაწერილი მისი მეორე სატირული ლექსი „ჰეროსტრატე“.

კალმით ვაგებდი
ამ ხელთუქმნელ ჩემ სამყლობელოს,
როგორც პოეტი, შემოქმედი,
სიტყვის ოსტატი.
ო, მუზავ ჩემო,
არტემიდის დედავ მშობელო,
არ შეიპაროს შავი ზრახვით
მიგ ჰეროსტრატე!
მას უნდა საქმე
საავკაცო და საძრახველი,
გული კი არა,
ხედავ, მჯიღით მიაქვს ხანძარი? —
მხოლოდ სახელი მოიხვეჭოს,
რაგინდ სახელი,
ლამის გადასწვას
პოეზიის წმინდა ტაძარი.

პოეტმა ერთ სატირულ ლექსს ასეთი სახელი უწოდა: — „რამდენიმე სიტყვა კრიტიკოსებს „ახ. კომუნისტიდან“, მოვუსმინოთ ამ ლექსს:

ყველა როდია მემატიანე,
საქართველოში ვინც კი ოცნებობს,
კალმის მაგიერ ქვებს ატრიალებთ,
პატივცემულო კრიტიკოსებო!
თქვენ ხომ ქვებითვე მოკლავთ მაშაშვილს,
ეპოქის მწვერვალს თუ მიაღწია!
ფილისტერია, ვინც რომ მასაში
ეწევა თემის სპეკულაციას!
მესმის, როდესაც ლექსად კეთდება
მონინავეთა საქმის იდეა,
მაშინ პოეტის შემოქმედებაც
საუკუნეების მეხთამრიდია!
გულის ატანა გიმძიმს თვითონვე,
როცა დგებიან თვალწინ გორ-მთები,
მაღლა, მწვერვალზე, ასვლა თქვი, თორემ
ძირს თავისუფლად ჩამოგორდები!
ცხოვრება წინსვლა და ტრიალია,
ხდება ცვლილება წლის და ეპოქის,
მხოლოდ უცვლელი და მთლიანია
წესი ბრძოლის და წინაღმდეგობის.
რა ვუყოთ, ზოგჯერ ლექსი გაქეზებს,
ზოგჯერ ტყვიითვე არის დაჭრილი!
კლასთა ბრძოლების ბარიკადებზე
ლექსიც იბრძოდა ჯარისკაცივით!
ამივარდება ცეცხლის ანთებით
დრო და ყველაფერს დაძრავს,
გაზნიქავს, —
ვინც გადურჩება ლექსით ქარტეხილს,
ის იმ ეპოქის რჩება კლასიკად!

ასე ეღერს ალიო მირცხულავას სატირული ლექსი.

ციალა ქაროსანიძე

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ნახ. შ. ლელაძისა

— არ გეშინია, ამ ლევი საქონლისთვის რომ ჩაგაგდონ?!
— ჩამაგდებენ და ბარე ორიც მომყვება უკან!

რა იცი, შეიძლება კიდეც მოხდეს...

...რომ ზოგიერთი კრიტიკოსი ლექსის, პოემის, მოთხრობის ფორმის ანალიზით არ კმაყოფილდებოდეს და მცირეოდენ ყურადღებას მაინც აქცევდეს იმას, თუ რა აქვს სათქმელი მწერალს, რით სუნთქავს, რისკენ ილტვის, რა სძულს, რა უყვარს, რის დამკვიდრება სურს, რისა — არა.

...რომ ზოგიერთი ხელოვანი, მეცნიერი, მწერალი, ექიმი, მასწავლებელი... ერთმანეთს პირში კი არ ელაქუცებოდნენ და ზურგს უკან სამარეს კი არ უთხრიდნენ, არამედ ურთიერთმხარდაჭერითა და გულწრფელი ქებით არ იღლებოდნენ (როცა საქები საქმეა გაკეთებული) და არც ურთიერთის პირდაპირ კრიტიკას გაურბოდნენ (როცა საამისო საფუძველი არის).

...რომ ავტომანქანების პროფილაქტიკური შემოწმება და რემონტი უფრო იაფი ჯდებოდეს სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ სახელმწიფო საწარმოებში, ვიდრე კერძო ხელოსანთან.

...რომ „დინამოს" სტადიონზე თქვენს ადგილამდე მისასვლელად არ დაგჭირდეთ ქართული ჭიდაობის ილეთების მაინცდამაინც ღრმა ცოდნა. თქვენი ადგილი თავისუფალი დაგხვდეთ და მატჩის დროს სამი თუ ოთხი კაცი მხრებსა და ზურგზე არ გასხდეთ, თავზე კი თამბაქოს ფერფლს და მზესუმზირას ნაფცქვენებს არ გაყრიდნენ.

...რომ ქართველ ბავშვებს შორისაც გამოჩნდნენ გაფრინდაშვილები და ჩიბურდანიძეები.

...რომ მივლინებაში წასვლისას, დავალების შესრულებაზე ფიქრის გარდა, ტვინს არ გიხვრეტდეს პრობლემა: სად გაათევ ღამეს, იშოვი თუ არა ადგილს სასტუმროში?

გულზე გასაკდები კაცი, მაშ, რა მოგივა...

თუ სანადირო თოფით ხელში მთელი ტყე-მინდორი შემოიარე, ბეღურაც, სკვინჩაც არ აგფრენია, დაჭანცულმა ბუჩქთან თოფი ჩიჩაქდე და იქიდან ყურცქვიტა გამოხტა.

...თუ რესტორანში შემწვარ-მოხრაკულებზე გული უკვე აღარ მიგდის (ყველაფერს საზღვარი აქვს!), მაგრამ შინ მისვლისას სამი დღის წინათ გაკეთებული ბორშის ჭამაზე უარს მაინც ვერ ამბობ (რას იზამ, „თათბირზე" იყავი!).

...თუ მთელი საღამო სულ ორი ჭიქა ღვინოც არ დაგილევია, მაგრამ პირში ენას ვეღარ აბრუნებ და ფეხზე ძლივს დგახარ, შენი მეგობარი კი ლიტრიან ყანწებს ერთიმეორეზე ცლის და თანდათან უფრო დაწყობილად ლაპარაკობს, ვიდრე წვეულების დაწყებისას.

...თუ მთელი შენი დღე და მოსწრება სხვის ფულს ითვლი (მოლარე ხარ!).

ბორის ნანიტაშვილი

ვადაკეთებული სტრიქონები

კახა ნიზომ ერეგა

ნურვინ იტყვის ქორვ ჭრისა
ვაებას,
თუ შოულობს, კიდეც უნდა
გაებას!

ფუფუნებისმოყვარული გასათხოვარი ქალის აღსარება

უფულფულებოდ მე რად მინდა თავი
ცოცხალი?!
მეუღლე მინდა ფულოსანი,
ბაყუთოსანი!

გრაფომანის ეპიტაფია

ვწერდი, ღამეებს ვათევდი
თეთრად,
მოვკვდი!.. დამმარხეს ლექსებთან
ერთად!..

ნაწყვეტები ანტიპოდის მონოლოგიდან

გამიშვით!
გინდა შტერი ვიყო, გინდა სულელი,
ვერ გამაჩერებთ,
უფულობის არ ვარ მსურველი!

●

მეფისტოფელთან, ბელზებელთან
რა მესაქმება?
კვაჭი ვარ, კვაჭი,
ფულს ვშოულობ, ჩემი საქმე მაქვს!

●

მე კი მეგონა,
შენ იყავი ტურფა ჯოკონდა!..
როგორ გაიგე,
დამარხული
ფული რომ მქონდა?

●

თუ დამიჭერენ, გამოვალ
თავდებს,
ფული ბევრი მაქვს, ავდგები,
დავდებ!

არგაბედო გაბედავა

მცირე განმარტებითი ლექსიკონი

● ალიმენტი — გაორებული სიყვარულის განახევრებული ხელფასით გამოვლინება.

● ნიშანი — დედის ან მამის მიერ სკოლაში დაუსწრებლად მიღებული შეფასება.

● პაპიროსის მწეველი — თავისი სიცოცხლის გახანგრძლივების უკან მწეველი.

● ჩანგალი — ოფიციანტთან ანგარიშსწორებისას გამოუყენებელი იარაღი.

ჯემალ ვეკუა,
(გულრიფშის რ-ნი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ი. უმეინაშვილისა

221
5.IV 1984

უსიტყვოდ

თბილი პასუხები და ცივი უარი

ერთიანული ბიბლიოთეკა

რედაქციაში წერილი მოვიდა — **სადგურ ქსანში გათბობა არ არისო!**

ერთი შეხედვით თითქოს აქ არაფერია საგანგაშო, ზოგს ბინაში არა აქვს გათბობა და დიდი რამე, სადგურში რომ არ იყოს!.. ეს — ერთი შეხედვით, მაგრამ თუ სადგურ „ქსნის“ წლობით გაყინულ მუშაკთა გაჭირვებას გულთან ახლოს მივიტანთ, რომელთაც საჩივრებსა და განცხადებებზე მიღებული პასუხები ჯერჯერობით ვერ ათბობს, მივხვდებით, რომ წერილი გათბობის მიზნით არ არის გამოგზავნილი და ჩვენც არ გვინდა გულცივნი ვიყოთ საჩივრის ავტორების მიმართ.

ნიანგს ხელთა აქვს სხვადასხვა ინსტანციებში შესული სადგურ „ქსნის“ თანამშრომელთა წერილების პასუხები.

აი, ერთ-ერთი კოლექტიური განცხადების პასუხი, რომელიც ანალოგიურია სხვა დანარჩენი პასუხებისა:

„გზის უფროსის სახელზე შემოსულია სადგურ „ქსანის“ თანამშრომელთა ერთობლივი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში სადგურ „ქსანის“ შენობაში არ არის გათბობა, ამიტომ დაუყოვნებლივ მოეწყოს სადგურის ცენტრალური გათბობა. ასევე არადამაკმაყოფილებელია შენობაში წყლის მოწოდებისა და კანალიზაციის [illegible]. წყალგამტარი ელემენტების გაუმართავობის შედეგად შენობის სახურავიდან წვიმის წყალი აღწევს ფუნდამენტამდე.

გევალებათ, ადგილზე შეისწავლოთ განცხადება და მიიღოთ ზომები ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მიღებული შედეგები მაცნობეთ“.

მაგრამ, როგორი ჭირს, ჩვენთან მოხვედრამდე თხოვნა-მუდარით სავსე ამ ფაოატიხა ქაღალდებმა ვერავის გული ვერ გაათბო. რა თქმა უნდა, სადგურ „ქსნის“ შენობას ვერც ნიანგი გაათბობს, მაგრამ ძალიან კი აინტერესებს მას: როდის გალღვება იმ ხელმძღვანელთა გულები, რომელთაც სადგურ „ქსნის“ შენობის გათბობა ევალებათ?

მომჩივნებისთვის გაგზავნილ ცივ პასუხებს გაეცნო

ნანა ჯაჯანაშვილი

ეპიგრამები

მადლად ჩაგითვლის!..

ჭკუას ვკითხავთ უმეცარს,
გაყოყოჩდება ამითი;
ცხადია, რჩევას მოგცემს მცდარს,
თანაც მას მადლად ჩაგითვლის!

ორი მომჩივანი

უქნარა ვნახე დღებნელი,
ხვედრს ემდუროდა, შიოდა,
შრომისმოყვარე ბელელის
სივიწროვეზე ჩიოდა.

ეპიფანე ცინცაძე

დიალოგი—„მე-მინორ-სფორტან-დო-კავატინა“

— ეგ ხომ თეთრია?! — მიმტკიცებს ლომი.
— თეთრია-მეთქი! — თანახმა ვხდები;
აბა, სად ძალმიძს, შევება ტყის ღმერთს,
მას მაჩვი როგორ გადავახტები?!

— აბა, რას იტყვი, სწორი ვარ, არა?!
— სწორი ბრძანდებით! — ვამბობ თავდახრით, —
ნადირიც ხედავს სიმართლეს თქვენსას,
სიკეთის თესვას ყოველი განხრით!

— ფოცხვერის ძმა ხომ, — იწყებს მსჯელობას, —
ველარ დარჩება რიგით მოკვდავად?
— ო, რა თქმა უნდა, ბრძანდებით სწორი
და არ არსებობს აქ აზრი ორი!

— ფარშავანგებსაც ხომ ჰყავთ მეცხედრე?!
ჰოდა, იმათაც — ტიტული რამე!..
— დიახ, სჭირდებათ, ბატონო ჩემო,
როგორც ვარსკვლავთა ციმციმი — ღამეს!
— ახლა კი, მაჩვო, დროა, გასწიო,
კრებას აუწყო ჩემი ზრახვები,
თან მრევლს აუხსენ სიმართლის არსი,
ის, თუ რა არის ძებნა კადრების!

ვლადიმერ დარჩია
(ქ. ბათუმი)

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯРЪ

ნახ. მ. აბაშიძისა

— უფროსო, არც ახლა დამიჯერებთ, თქვენი ერთგული რომ ვარ?

წერილების კვალდაკვალ

გალის რაიონიდან „ნიანგს“ სწერდნენ, რომ **კურორტი სათანჯაო მოუწყობელია და თითქმის დანგრევის პირასაა მისულიო.** აღნიშნული წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა სახალხო დეპუტატების გალის რაიონული საბჭოს აღმასკომს, საიდანაც გვაცნობეს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი შემოწმებით დადასტურდა. სათანჯაოს მთაზე გასულ წლებში ფუნქციონირებდა სეზონური პიონერული ბანაკი. სხვადასხვა დროს აქ ბანაკებისათვის კოხორისა და „მზიურის“ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებმა ააგეს ორი შენობა, მაგრამ, ბოლო წლებში, დიდთოვლობის შედეგად ორივე დაინგრა. უახლოეს პერიოდში სათანჯაოს მთაზე პიონერთა დასასვენებელი ბანაკები აღდგება რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ძალებით, სოფელ ჭუბურხინჯის გორაზე აშენდება პიონერთა და მოსწავლეთა დასვენების ცენტრი „სათანჯო“. ეს სამშენებლო ობიექტი გამოცხადდება კომკავშირულ-დამკვრელურ უბნად. „სათანჯაოს“ პიონერული ბანაკის ასაშენებლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

●

გალელებმა საჩივარი გამოგვიგზავნეს იმის შესახებაც, რომ **ოჩამჩირე-გალის რკინიგზის ერთი მონაკვეთი — ანარიის გადასასვლელი დაკეტილია და ტრანსპორტს რამდენიმე კილომეტრი მანძილით შემოვლა უხდებაო.** გალის რაისაბჭოს აღმასკომმა გვიპასუხა: ანარიის გადასასვლელი აღდგენილია, ავტომატური შლაგბაუმი, სიგნალიზაციის აპარატურა დამონტაჟებულია და ნორმალურად მუშაობს, ოჩამჩირის სადისტანციო უბნის ხელმძღვანელობის წინაშე დასმულია საკითხი არსებული, მოძველებული ჯიხურის ახლით შეცვლის თაობაზე.

●

რედაქციაში მოვიდა წერილი **დუშეთის რაიონის სოფელ ხორხიდან. ხორხელები ჩიოდნენ, რაიონის ცენტრამდე უეხით გვიხდება ხიარულიო.** ამის შესახებ სახალხო დეპუტატების დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომიდან მოგვწერეს, რომ სოფელ ხორხის მოსახლეობის თხოვნა ავტობუსის დანიშვნის შესახებ დაკმაყოფილებულია. უკვე დაინიშნა მარშრუტი და ავტობუსი რეგულარულად, დღეში ორჯერ გადაიყვანს ხორხელ მგზავრებს რაიონის ცენტრამდე.

●

ქუთაისიდან, ჩერნიშევსკის ქუჩაზე მცხოვრებთა მიერ **გამოგზავნილ კოლექტიურ წერილში ჩიოდნენ იმის შესახებ, რომ აღნიშნული ქუჩა დანგრეულია, მოუწესრიგებელია და შეკეთებას მოითხოვსო.**

ამ წერილის პასუხად ქუთაისის ავტოქარხნის რაისაბჭოს აღმასკომიდან შეგვატყობინეს, რომ მთლიანი კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ჩერნიშევსკის ქუჩას და მასზე დაიგო ასფალტი, აღდგენილ იქნა № 1 საცხოვრებელ სახლში შემავალი თბოტრასა, შეკეთდა საკანალიზაციო ქსელები, გაიწმინდა ღია ღვარსადენი. გადაწყვეტილია ავტოქარხნის ამ უბნის წყლითა და გათბობით მომარაგების საკითხიც.

7-1984

84-221

თეთრი სახლი ისრაელს იმისათვის აფასებს, რომ მისი წყალობით რეიგანის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევა იმოქმედოს და გააფართოოს კიდეც ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა ამერიკის საზოგადოებრიობისა და კონგრესის გვერდის ავლით.

გაზეთებიდან

ამერიკული წარმოების

ისრაელური სანთებელა

ნახ. გ. ლომიძისა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 6 (1564), მარტი, გამოდის 1923 წლის იანვრიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 27.2. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 3. 84 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 487. უე 06457 ტირაჟი 138.300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მოად. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137